სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №29

ქ.თბილისი 14 ნოემბერი 2019 წელი

1. ზოგადი ნაწილი

1.1 ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ: ერთის მხრივ, **ქ. თბილისის N142-ე საჯარო სკოლა,** (მის: ქ. თბილისი, თემქა III მკრ 3 კვ, ს/კ 200007857, საბანკო რეკვიზიტები: სს ტერაბანკი, GE95KS0000000341200002 ტელ: +995322647011) შემდგომში „შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **შორენა ცნობილაძის** სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ელიტმშენი,** (მის: ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქN1 ს/კ 2151401121, საბანკო რეკვიზიტები: ს/ს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGE22, ა/ა GE42BG0000000184330900) შემდგომში „მიმწოდებელი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის **კობა ლატარიას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც მხარეები;

1.2 საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგ საგანზე: ქ. თბილისის N142-ე საჯარო სკოლის გამათბობელის მონტაჟი და მასთან დაკავშირებული სამუშაოები.

1.3 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.

1.4 შესყიდვის საფუძველი - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 06 ნოემბრის N4383 განკარგულება სსიპ ქალაქ თბილისის N142 საჯარო სკოლის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე SMP190004179.

1.5 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 35,461,27 (ოცდათხუთმეტი ათას ოთხასსამოცდაერთი ლარი და 27 თეთრი) ლარს, რომელიც მოიცავს, როგორც შესასყიდი ობიექტის ღირებულებას, ასევე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

1.6 დაფინანსების წყარო - 2019 წლის საბიუჯეტო სახსრები.

1.7 კლასიფიკატორის კოდი: CPV-45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები.

1.8 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერიდან ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე - 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

1.9 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2019 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით.

1.10 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ. თბილისში, N142-ე საჯარო სკოლა, თემქა III მკრ 3 კვ.

1.11 ხელშეკრულებას თან ერთვის ხარჯთაღრიცხვა.

2. პროექტის ვადების მართვა.

2.1 ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.9. პუნქტით გათვალისწინებული მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია

ა)შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით ;

ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა არაუმეტეს 3 (სამი) დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს შესასრულებელი დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო შეუსრულებული სამუშაოების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

2.2 თუ შემსყიდველი დარწმუნდება, რომ შეუძლებელია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის დასრულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების ამოწურვამდე, იგი უფლებამოსილია ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი დააჯარიმოს შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,2%-ს ოდენობით.

2.3 თუ კი მიმწოდებელი 2.1 ,,ბ" პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით ვადაშიც ვერ განახორციელებს სამუშაოს სრულად დამთავრებას, შემსყიდველი წყვეტს წინამდებარე ხელშეკრულებას და მიმწოდებელი ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დაჯარიმდება ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

2.4 შემსყიდველი ვალდებულია ხელი შეუწყოს მიმწოდებელს სამუშაოების შესრულებაში.

3. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მართვა.

3.1 იმ შემთხვევაში, თუ ფიქსირდება არსებულ ხარჯთაღრიცხვასთან ან ზოგადსამშენებლო სტანდარტებთან შეუსაბამობა, შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები, მოითხოვოს ფიზიკური სამუშაოების შემსრულებლ(ებ)ის შეცვლა ან ხელშეკრულების შეწყვეტა. შემსყიდველის აღნიშნული გადაწყვეტილებათაგან არცერთი გამორიცხავს მიმწოდებლის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

3.2იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი შემსყიდველთან წერილობითი შეთანხმების გარეშე, ასრულებს სამუშაოებს, რომლებიც სცილდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაო მოცულობებს ან/და ახორციელებს ახალი სახეობის სამუშაოებს, მაშინ შემსყიდველს არ წარმოეშობა ამ სამუშაოების ღირებულების ანგარიშსწორების ვალდებულება, იმის მიუხედავად, ემსახურებოდა თუ არა აღნიშნული სამუშაოები შესყიდვის საგნის პროექტით განსაზღვრული საბოლოო შედეგის მიღწევას.

3.3ხარჯთაღრიცხვაში ახალი სახის სამუშაოს ერთეულის ფასის ასახვა დაშვებულია მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვის და შესაბამისი კვალიფიკაციის საექსპერტო ბიუროს, კერძოდ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან/და საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ აკრედიტირებული საექსპერტო ორგანიზაციის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე. საექსპერტო ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს შესაბამისი მომსახურების გაწევის (ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა) აკრედიტაცია. ახალი ერთეულის ფასის დადგენაზე გაწეული საექსპერტო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება წარმოადგენს მიმწოდებლის ვალდებულებას.

3.1 ხარჯთაღრიცხვის კორექტირება ხორციელდება ხარჯთაღრიცხვის ცვლილების საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა, შესაძლებელია არაუმეტეს 10%-სა და მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, როდესაც იცვლება ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული მოცულობები, ან/და დგება ახალი სახეობის სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა.

4. სამშენებლო სამუშაოების მიღება.

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება ხდება წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების (არაუმეტეს ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულისა) საფუძველზე შედგენილი და შესაბამისად წარმოდგენილი სამუშაოთა შესრულების ფორმა N2-ის, (შედგენილი არსებული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით) და სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე, რომელიც უნდა აფიქსირებდეს შესრულებული სამუშაოების მოცულობებს და ადგენდეს სამუშაოების ერთეულზე ფაქტობრივად გაწეულ ხარჯებს.

4.3 გაწეულ ფაქტობრივ დანახარჯებზე ექსპერტიზის დასკვნის გარეშე არ დგება მიღება-ჩაბარების აქტი. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო", მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას. ფაქტობრივ დანახარჯებზე ექსპერტიზის ღირებულების ანაზღაურება გათვალისწინებულია ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით.

4.4 შემსყიდველს შეუძლია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), ან არასრული თანმხლები დოკუმენტაციის მქონე შესყიდვის ობიექტის მიღებაზე და მის ანაზღაურებაზე, მანამ სანამ არ მოხდება წუნის გამოსწორება ან თანმხლები დოკუმენტაციის სრულყოფა. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარდგენილი სამუშაოების შესრულების აქტში ასახული სამუშაოების ნაწილზე დგინდება ხარვეზები (ნაკლოვანება), რაც დადასტურებული უნდა იქნას სათანადო აქტით) მიღება-ჩაბარების აქტში გაკეთდება განმარტება იმის თაობაზე, რომ შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავდება ნაკლოვანი (ხარვეზიანი) სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ათმაგი ოდენობის თანხა, რომელიც ანაზღაურდება მხოლოდ ხარვეზის გამოსწორების შემდეგ, შესაბამისი აქტის გაფორმების საფუძველზე.

4.5 შესრულებული სამუშაოების მიღების აქტს - ფორმა N2-ს, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს მოცულობებისა და ხარჯთაღრიცხვის ფასების ზღვრულობის გათვალისწინებით ადგენს მიმწოდებელი.

4.6 ფორმა N2-ის შედგენისას, მიმწოდებელი, ხელმძღვანელობს მოქმედი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით დაფიქსირებული შეთანხმებული სამუშაოების ერთეული ფასებით.

4.7 შემსყიდველი ადასტურებს წარმოდგენილ ფორმა N2-ში აღწერილ სამუშაოების სახეობებს, მოცულობებს და ერთეული ფასების შესაბამისობას ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ფასებთან (ფორმა #2-ში დაფიქსირებული ფასები სამუშაოების ერთეული განზომილებების გრაფებში არ უნდა აჭარბებდეს ხარჯთაღრიცხვით განსაზღვრულ ფასებს).

4.8 მიმწოდებელი ვალდებულია შემოწმებით გამოვლენილი ხარვეზები გამოასწოროს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში. ხარვეზების გამოსწორების გარეშე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი არ ფორმდება.

5. ანგარიშსწორების პირობები

5.1 ანგარიშსწორების ვალუტაა ქართული ლარი.

5.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღდო, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.4 თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება გადახდის ვადის გადაცილებად.

6. .მიმწოდებლის პასუხისმგებლობა მშენებლობის უსაფრთხოებასა და ობიექტის დაცვაზე

6.1 მიმწოდებელი თავად არის პასუხისმგებელი სამშენებლო სამუშაოების უსაფრთხოდ წარმოებაზე როგორც შემსყიდველის, ისე მესამე პირების (მათ შორის, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოები) წინაშე. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის სფეროს ასევე განეკუთვნება ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენის მინიმიზაცია.

6.2 მიმწოდებელი თავად არის პასუხისმგებელი შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვაზე.

6.3 მიმწოდებელი ვალდებულია სარეაბილიტაციო არეალში არსებული კომუნიკაციები, რომელიც არ წარმოადგენს ხელისშემშლელ გარემოებას შეინარჩუნოს გამართულ მდგომარეობაში, ხოლო მისი დაზიანების შემთხვევაში უზრუნველყოს მათი აღდგენა.

7.გარემოს დაცვის თვალსაზრისით მიმწოდებლის ვალდებულებები.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაასუფთავოს ყველა სამუშაო ადგილი სამშენებლო მოედნის ფარგლებში და მის გარეთ მათთან მისასვლელი გზების ჩათვლით მას შემდეგ, რაც დაასრულებს სარეაბილიტაციო სამუშაოებს. წინაამღდებ შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მიმწოდებელთან არ გააფორმოს სამუშაოების შესრულების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და უარი განაცხადოს შესაბამისი ანგარიშსწორების განხორციელებაზე.

7. შესყიდვის ობიექტის ხარისხის გარანტია

7.1 შესასყიდი ობიექტის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

7.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საგარანტიო მომსახურება სამუშაოების დასრულებიდან (საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან) 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

7.3 სამუშაოს დასრულების შემდეგ, ობიექტის სწორი ექსპლუატაციის პირობებში, საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებლის უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით ან უხარისხო სამშენებლო მასალის გამოყენებით გამოწვეული ნაკლის/ხარვეზის (წუნი, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლი/ხარვეზი აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში.

8. სხვა პირობები

8.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან/და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის გამოც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

8.2 „დაუძლეველი ძალის“ ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ, კერძოდ: წყალდიდობა, მიწისძვრა, ომი და საომარი მოქმედებები, სახელმწიფო ორგანოების მოქმედება, დაკავშირებული საკანონმდებლო/კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ მხარეთა სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

8.3 დაუძლეველი ძალის მოქმედებისას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება გადაიწევს შესაბამისი გარემოებების მოქმედების ვადით.
8.4 დაუძლეველი ძალის ორ კვირაზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი.
8.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე.
8.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების საფუძველი და ამოქმედების თარიღი, მისი მიღებიდან 10 (ათი) კალენდარულ დღეში.
8.7 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები (პირგასამტეხლო (მათ შორის, ჯარიმა და საურავი)) გადახდილი უნდა იქნეს შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში. იმ შემთხვევაში, თუ სანქციის გადახდის მოთხოვნა ნებაყოფლობით არ იქნება დაკმაყოფილებული დადგენილ ვადაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიღება-ჩაბარების აქტის მონაცემების მიუხედავად, უზრუნველყოს მის მიერ შესასრულებელი ანგარიშსწორების ვალდებულებიდან სანქციის თანხის გაქვითვა. ამ შემთხვევაში, შემსყიდველი არ საჭიროებს გაქვითვის თაობაზე მიმწოდებლის თანხმობას.
8.8 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და მისი არაჯეროვანი შესრულების გამო შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი არ თავისუფლდება მიყენებელი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.
8.9 ხელშეკრულებაში დამატებების ან/და ცვლილებების შეტანა მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.10 ამასთან, სკოლის დირექტორი ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები ინტერესთა კონფლიქტში პრეტენდენტის მიმართ.

9. მხარეთა ხელმოწერები

<u>შემსყიდველი</u>	<u>მიმწოდებელი</u>
ქ. თბილისის N142-ე საჯარო სკოლა	შპს ელიტმშენი
დირექტორი: შორენა ცნობილაძე	დირექტორი: კობა ლატარია